



მასკულინობა, როგორც ჰომოფობია

მაიკლ ს. კიმელი

მაიკლ კიმელის სტატია „მასკულინობა, როგორც ჰომოფობია“ ფემინისტური თვალსაზრისით კრიტიკას იმსახურებს, თუმცა საკმაოდ საინტერესო და აქტუალურია ავტორისეული პერსპექტივა ჰომოფობიისა და მასკულინობის კრიზისის ურთიერთმიმართებაზე. სწორედ ამ მოსაზრებით გადავწყვიტეთ მკითხველისთვის ამ სტატიის წარდგენა.

მთარგმნელისაგან

ფროიდის ფსიქოანალიტიკური ხედვის გარეშე შეგვიძლია, ნაკლებად სექსუალიზებული ცნებების გამოყენებით, დავაკვირდეთ, როგორ ხდება მამა პირველი ის კაცი, რომელიც ბიჭის ქცევებს აფასებს, პირველი წყვილი კაცის თვალისა, რომლის წინაშეც ბიჭი საკუთარი მამაკაცურობის დამტკიცებას ცდილობს. ამ თვალის მზერა მას ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება. შემდეგ კი სხვა კაცების თვალში შეუერთდება - ისეთი როლური მოდელების თვალში, როგორც იქნებიან მისი მასწავლებლები, მწვრთნელები, უფროსები თუ მედია გმირები; მისი თანატოლები, მეგობრები, თანამშრომლები; და კიდევ მილიონობით, ცოცხალი თუ მკვდარი კაცის მზერა, რომლებიც მუდმივ თვალყურს ადევნებენ მის ქცევებს და ამას ვერასდროს გაექცევა. როგორც კარლ მარქსი წერდა საუკუნის წინ, „მიცვალებულთა თაობების მიერ დამკვიდრებული ტრადიციები საზარელი კომპარით ამძიმებს ცოცხალთა ტვინებს.“ (1848/1964, გვ.11). როგორც დღეს ფსიქოლოგები, ვულფოლკი და რიჩარდსონი (Woolfolk & Richardson, 1978, გვ.57) აღწერენ: „მამრობითი სქესის წარმომადგენელ ყოველ ამერიკელს პირადი არაადექვატურობის ქრონიკული შეგრძნება დაბადებიდანვე მოჰყვება.“

კომპარი, რომლისგანაც როგორც ჩანს, ვერასდროს გავთავისუფლდებით, არის ის, რომ დანარჩენები (კაცები) დაინახავენ ამ არაადექვატურობის შეგრძნებას, დაინახავენ, რომ ის არ ვართ, რადაც თავს ვაჩვენებთ. რასაც ჩვენ მასკულინობას ვწოდებთ, ხშირად თავდაცვაა, რომ ჩვენი სიყალბე არ გამჟღავნდეს, გადაჭარბებული ქცევათა ნაკრებია, რასაც გაათრეული ვიყენებთ იმისათვის, რომ ჩვენი შიშები შემჩნეულ არ იქნას სხვების მიერ. რეალურად, „გვეშინია არა ქალებისა, არამედ იმის, რომ სხვა მამაკაცების წინაშე არ შევრცხვით, ან არ დავმცირდეთ, ჩვენზე ძლიერი მამაკაცების დომინირების ქვეშ არ მოვექცეთ“ (Leverenz, 1986, გვ.451).

ეს ამერიკული მასკულინობის დიდი საიდუმლოა: ჩვენ, სხვა მამაკაცების გვეშინია. ჰომოფობია ძირითადი პრინციპია მამაკაცურობის ჩვენული კულტურული განსაზღვრებისა. ჰომოფობია გაცილებით მეტია, ვიდრე ჰომოსექსუალი მამაკაცების მიმართ ირაციონალური შიში, მეტი, ვიდრე იმის შიში, რომ ვინმე ჰომოსექსუალად აღგვიქვამს. დევიდ ლევერენცი წერს, რომ „ტერმინს „ცისფერი“ არაფერი აკავშირებს ჰომოსექსუალურ გამოცდილებასა თუ ჰომოსექსუალების შიშთან“ (1986). „ის მამაკაცურობის სიღრმეებიდან მოდის, აბუჩად აგდების აუცილებელი იარაღია, რომელიც ქალაჩუნა, სუსტ კაცებს უნდა მიეწეროთ“ (გვ.455).

ჰომოფობია არის შიში იმისა, რომ სხვა მამაკაცები ნიღაბს ჩამოგვხსნიან, აშკარას გახდიან როგორც ჩვენთვის, ასევე მთელი მსოფლიოსთვის, რომ არ ვართ ნამდვილი მამაკაცები. ჩვენ გვეშინია სხვა მამაკაცებმა ჩვენი ეს შიში არ შეამჩნიონ. ამ შიშის კი გვრცხვენია, ვინაიდან მისი არსებობის აღიარება ჩვენს თავებთან, დამადასტურებელია იმისა, რომ ისეთი მამაკაცურები არ ვართ, როგორცადაც თავი მოგვაქვს. ჩვენი შიში, დამცირების შიშია. გვრცხვენია იმისა, რომ გვეშინია.

სირცხვილს დუმილამდე მივყავართ, დუმილი, რომელიც ადამიანებს აჯერებს, რომ ჩვენთვის მისაღებიც კია ქალების, გეების, ლესბოსელებისა და სხვა უმცირესობათა მიმართ ჩვენს კულტურაში არსებული დამოკიდებულებები და ქცევები. შეშინებულები, დუმილით ჩავუვლით ქუჩაში ქალს, რომელსაც კაცები შეურაცხყოფას აყენებენ. დუმილით მოვუსმენთ მამაკაცებს, რომლებიც სექსისტურ ან რასისტულ ანეკტოდებს ყვებიან ბარში, დუმილით შევხვდებით ოფისში გეებზე დამცინავ ხუმრობებს. ჩვენი შიშები ჩვენი დუმილის მიზეზია, მამაკაცთა სიჩუმე კი სისტემის არსებობას უწყობს ხელს. ამის გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქალები ხშირად ჩივიან მათი მამრობითი სქესის წარმომადგენელი მეგობრებისა თუ პარტნიორების შესახებ. ისინი ხშირად გამგები არიან როცა განცალკევებით იმყოფებიან ქალებთან, ხოლო ჯგუფთან ერთად ყოფნისას, სექსისტურ ხუმრობებზე იციანიან ან თავადაც კი ხუმრობენ.

მამაკაცურობის კულტურულ დეფინიციებს „ქალაჩუნად“ გამოჩენის შიში დომინირებს. ეს ყველაფერი კი ადრეული ასაკიდანვე იწყება. „ბიჭების, როგორც „არამამაკაცურების“ შერცხვენა ხდება ბიჭებს შორისვე“, წერდა ერთ-ერთი განმანათლებელი 1871 წელს (ციტირებულია Rotundo, 1993, გვ.264). ნიძლავი მაქვს მეგობართან დადებული, რომ შემიძლია ამერიკის ნებისმიერ სათამაშო მოედანზე შევიდე, სადაც 6 წლის ბიჭები მხიარულად თამაშობენ და ერთადერთი კითხვის დასმით, ჩხუბის პროვოცირება მოვახდინო. კითხვა ძალიან მარტივია: „აბა, ვინ არის აქ „ქალაჩუნა“? გამონწვევისათვის კითხვის დასმა საკმარისი. ორიდან ერთ-ერთი აუცილებლად მოხდება. პირველ შემთხვევაში, ერთი მეორეზე იტყვის, რომ „ქალაჩუნაა“, მეორე კი პირიქით, პირველს დაადანაშაულებს „ქალაბიჭობაში“. შეიძლება ჩხუბი დასტირდეთ იმის გასარკვევად, თუ ვინ ტყუის. მეორე მოსალოდნელი განვითარება კი ის იქნება, ყველამ ერთ ბიჭს შემოარტყას ალყა და მასზე იძახონ, „ის არის, ის!“ იმ ბიჭს ცრემლები წასკდება და ატირებული სახლში გაიქცევა, შერცხვენილი, ან ერთდროულად რამდენიმე ბიჭთან მოუწევს შერკინება, იმის დასამტკიცებლად, რომ „ქალაჩუნა“ არ არის. (რას ეტყვიან მამა ან უფროსი ძმები თუ სახლში ატირებული გაიქცევა?) თავმოყვარეობის აღსადგენად ბიჭს დრო დასტირდება.

მოზარდობისას ვსწავლობთ, რომ ჩვენი თანატოლები ერთგვარ „გენდერულ შემონმებას“ გვიტარებენ და გამუდმებით გვემუქრებიან, რომ ჩვენს ფემინურობას, „ქალაჩუნობას“ გაამხელენ. ჩემი ყველაზე საყვარელი ხრიკი მოზარდობისას იყო ის, რომ ბიჭისთვის მეთქვა ფრჩხილებზე დაეხედა. თუ ის მის ხელისგულს სახისკენ შემოაბრუნებდა და თითებს მოკეცავდა ფრჩხილებზე დასახედად, გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა. ეს ნიშნავდა, რომ ფრჩხილებს „კაცივით“ ამონმებდა. მაგრამ თუ ხელს სახისგან მოცილებით დაიჭერდა და ფრჩხილებს ხელგაშლილი შეხედავდა, მაშინვე დავცინებდი, როგორც „ქალაჩუნას“.

ახალგაზრდა მამაკაცები ყოველთვის გენდერული საზღვრების სადარაჯოზე ვდგავართ, ვამონმებთ ჩვენ მიერ კონსტრუირებულ ღობეებს პერიმეტრზე და ვრწმუნდებით, რომ ოდნავადაც ფემინური არაფერია ჰორიზონტზე გამოჩენილი. განიღბვის შესაძლებლობები ყველგანაა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო რამეცაა კი შეიძლება საფრთხე წარმოშვას ან ის ტერორის განცდა დაგვიბრუნოს. ერთხელაც, როცა ჩემი კურსის, „კაცებისა და მასკულიზობების სოციოლოგიის“ სტუდენტებს დისკუსია უნდა ჰქონოდათ ჰომოფობიასა და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა მეგობრობაზე, ერთმა სტუდენტმა კარგი ილუსტრაცია შემოგვთავაზა. იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილო-აღმოსავლური ზამთრის შემდეგ გაზაფხულის პირველი მშვენიერი დღე იდგა, მან კლასში შორტებით მოსვლა გადაწყვიტა. „მადრას მართლა კარგი შორტები მაქვს“ თქვა მან და გაისხენა, რომ „მერე ჩემთვის გავიფიქრე, ამ შორტებს იასამნისფერი და ვარდისფერი ურევია. დღევანდელი ლექციის თემა კი ჰომოფობიაა. იქნებ დღეს არ ღირდეს ამ შორტების ჩაცმა.“

ჩვენი მცდელობები, შევინარჩუნოთ მამაკაცური სახე, ყველაფერს ფარავს. რას ვიცვამთ. როგორ ვსაუბრობთ. როგორ დავდივართ. რას ვჭამთ. ყველა მანერა, ყოველი მოძრაობა, კოდირებული გენდერული ნიშნების მატარებელია. მაგალითად, დაფიქრდით, როგორ უპასუხებდით კითხვას: „როგორ „ხვდები“, რომ მამაკაცი ჰომოსექსუალია?“ როცა ამ კითხვას ლექციაზე ან ვორქშოპზე ვსვამ, უპასუხად მუდმივად ერთ სტანდარტულ სიას ვიღებ სტერეოტიპული, ფემინიზებული ქცევებისა. რაღაცნაირად დადის, რაღაცნაირად ლაპარაკობს, რაღაცნაირად იქცევა. ძალიან ემოციურია; გრძნობებს ამჟღავნებს. ერთმა ქალმა თქვა, თუ მამაკაცი მასზე განსაკუთრებით მზრუნველობას

იჩენს, „ხვდება“, რომ კაცი გვია; მეორემ კი აღნიშნა, რომ ჰომოსექსუალად აღიქვამს მამაკაცს, რომელიც ინტერესს არ იჩენს მის მიმართ და ყურადღებას არ აქცევს.

შევაბრუნოთ კითხვა და წარმოვიდგინოთ, რას აკეთებენ ჰეტეროსექსუალი კაცები იმისთვის, რომ „ცუდად არავინ გაუგოს“. პასუხები ხშირად სტერეოტიპებს უკავშირდება, ამ შემთხვევაში ქცევის შესახებ აკრძალვითი წესების მთელ წყებას. არასდროს ილაპარაკო ან იარო ისე. არ გამოამჟღავნო შენი გრძნობები და არ იყო ემოციური. ყოველთვის მზად იყავი სექსუალური დაინტერესება გამოიჩინო იმ ქალების მიმართ, ვინც კი შეგვხვდება, ისე, რომ შეუძლებელი გახდეს შენზე „არასწორი წარმოდგენის“ შექმნა. ამ გაგებით, ჰომოფობია, როგორც შიში იმისა, რომ ჰომოსექსუალად აღგიქვამენ, როგორც არანამდვილ კაცად, მასკულინობის ყველა ტრადიციული წესების გადაჭარბებას იწვევს კაცებში, მათ შორის კი ქალებზე სექსუალური მტაცებლობაა. ჰომოფობია და სექსიზმი განუყოფელია.

ქალაჩუნად აღქმის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია რომ ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის საქმედ იქცევა ხოლმე. ჩვენი მამაკაცურობის დასამტკიცებლად ძალიან დიდ რისკებზე მივდივართ, საკუთარ თავებს ისეთი საფრთხეების წინაშე ვაყენებთ, რომლებიც სერიოზულად აზიანებს ჩვენს ჯანმრთელობას, სამსახურს და სტრესთან დაკავშირებულ ავადმყოფობებს იწვევს. სტატისტიკური მონაცემებით კაცების თვითმკვლელობის მაჩვენებელი სამჯერ აღემატება ქალებისას. ფსიქიატრი ვილარდ გეილინი (1992) ამას „სოციალური დამცირებით“ ხსნის, რასაც ხშირად ბიზნესში წარუმატებლობას უკავშირებს.

კაცები დებრესიულები ხდებიან კაცთა მსოფლიოში სტატუსისა და ძალაუფლების დაკარგვის გამო. ეს არ არის ფინანსური დანაკარგი, ან მატერიალური უპირატესობები რაც ფინანსებს უკავშირდება, რაც სასონარკვეთას იწვევს რომელსაც თვით-დესტრუქციამდე მივყავართ. ეს არის „სირცხვილი“, „დამცირება“ პირადი „მარცხის“ შეგრძნება. ... მამაკაცებს შორის მამაკაცად ყოფნის შეწყვეტა, კაცს სასონარკვეთილს ტოვებს. (გვ.32)

ერთ-ერთ გამოკითხვაში ქალებსა და კაცებს ეკითხებოდნენ, რისი ეშინოდათ ყველაზე მეტად. ქალები პასუხობდნენ, რომ ყველაზე მეტად გაუპატიურებისა და იმის შიში ჰქონდათ, რომ მოკლავდნენ. კაცები პასუხობდნენ, რომ ყველაზე მეტად დაცინვისა ეშინოდათ (Noble, 1992, გვ.105-106).

ძალაუფლება და მისი არქონა კაცების ცხოვრებაში

უკვე განვიხილეთ, რომ ჰომოფობია, სხვა კაცების მიმართ კაცების შიში, მასკულინობის დომინანტური განსაზღვრების სულისჩამდგმელია ამერიკაში, განსაზღვრებისა, რომ მასკულინობა თავდაცვითი მცდელობაა სისუსტის გამოვლენის თავიდან ასაცილებლად. ჩვენი მცდელობების ფონზე, დავძლიოთ ან ჩავახშოთ ეს შიშები, ქალები, გეები, არა ადგილობრივი, სხვა რასის წარმომადგენელი კაცები, ყველა, ვინც „სრულად მამაკაცურად“ არ ითვლება, უზარმაზარ საფასურს იხდის დომინანტი კულტურის წინაშე. ამ პერსპექტივით გაგვიადვილდება იმ პარადოქსის ახსნა კაცების ცხოვრებაში, რაც უკავშირდება კაცების მიერ წარმოსახვითი ძალაუფლების ქონას და ამავდროულად უუნარობის შეგრძნებას (იხ. Kaufman, 1993).

კაცობა ძალაუფლებასთანაა გათანაბრებული - ძალაუფლება ქალებზე, დანარჩენ კაცებზე. სადაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან ვხედავთ ამ ძალაუფლების ინსტრუქციონალურ დონეზე გამოხატულებას, სახელმწიფო და ნაციონალურ კანონმდებლობებში, ამერიკის ყველა დიდი კორპორაციის და იურიდიული ფირმის დირექტორების დაფებზე, ყველა სკოლისა თუ საავადმყოფოს ადმინისტრაციაში. ქალებმა ეს დიდი ხნის წინ გააცნობიერეს და ფემინისტები ბოლო სამი დეკადაა ებრძვიან როგორც საჯარო, ასევე პირად სფეროში კაცთა ძალაუფლების გამოხატულებებს და ცხადყოფენ კაცების მიმართ მათ შიშს. ფემინისტური თეორიები კაცთა მიმართ ქალების შიშს განიხილავს და როგორც საჯარო, ასევე პირად სივრცეებში, ქალებს ამ შიშთან საბრძოლველად აძლიერებს. ფემინისტმა ქალები თეორიულ მსჯელობას გთავაზობენ იმის შესახებ, რომ მასკულინობა არის დომინაციის, ძალაუფლებისა და დაპყრობის მიმართ სწრაფვა.

მასკულინობის ეს ფემინისტური განსაზღვრება, როგორც ძალაუფლების მიმართ სწრაფვა, ქალთა ხედვიდანაა თეორიზებული. ასე ეცნობიან ქალები მასკულინობას. მაგრამ ეს უშვებს საჭაროსა და პირად სივრცეებს შორის სიმეტრიას რაც კაცთა გამოცდილებებს არ შეესატყვისება. ფემინისტები ასკვნიან, რომ ქალები, როგორც ჯგუფი, ძალაუფლების მქონენი არ არიან საზოგადოებაში. ასევე შენიშნავენ, რომ ინდივიდუალურად ისინი, როგორც ქალები, ძლიერებად არ აღიქვამენ თავს. მათ ეშინიათ, არიან მონყვლადები. სოციალურ რეალობაზე მათი დაკვირვებები და ინდივიდუალური გამოცდილებები შესაბამისად სიმეტრიულია. ფემინიზმი ასევე ასკვნის, რომ კაცები, როგორც ჯგუფი, ძალაუფლების მქონენი არიან. ამგვარად, იმავე სიმეტრიით, ფემინიზმი უშვებს, რომ ინდივიდუალურად კაცები ძალაუფლებას უნდა გრძნობდნენ.

ამიტომაცაა, რომ მასკულინობის ფემინისტური კრიტიკა ხშირად იგნორირებული რჩება კაცების მიერ. როცა კაცების მიერ ძალაუფლების ქონის ანალიზს ისმენენ, ბევრი კაცი ეჭვდება. „რას გულისხმობ, როცა ამბობ, რომ კაცებს აქვთ ძალაუფლება?“ კითხულობენ. „რას ამბობ? ჩემი ცოლი ჩემზე ბატონობს. ბავშვები ჩემზე ბატონობენ. ჩემი უფროსი ჩემზე ბატონობს. არანაირი ძალაუფლება არ გამაჩნია! სრულიად უძლური ვარ!“

კაცთა გრძნობები არის არა ძალაუფლების მქონე ადამიანის გრძნობები, არამედ მათი, ვინც თავს უძლურად ხედავს. ეს გრძნობები უცილობლად მოდის კავშირის აღქმის ნაკლებობით სოციალურსა და ფსიქოლოგიურს შორის, ანალიზს, რომელიც ამხელს მამაკაცების როგორც ჯგუფის ძალაუფლებაში ყოფნას და ფსიქოლოგიურ ფაქტს შორის, რომ როგორც ინდივიდებს, ძალაუფლების შეგრძნება არ აქვთ. ეს იმ კაცთა გრძნობებია, რომლებიც გაზარდეს რწმენით, რომ თავი ძლიერებად უნდა ეგრძნოთ, მაგრამ არ გრძნობენ თავს ასეთებად. შემდეგ კი გასაკვირი არაა რომ ბევრი კაცი ფრუსტრირებული და გაბრაზებულია.

ამით შეიძლება აიხსნას ბოლო ხანებში ისეთი ვორქშოპების პოპულარულობა, რომლებიც მიზნად ისახავს კაცების დახმარებას მათი „შიდა“ ძალების, „ღრმა მამაკაცურობის“, „შინაგანი მეომრის“ განმტკიცების მხრივ. ავტორები, როგორც არიან Bly (1990), Moore and Gillette *1991,1992,1993a,1993b), Farrell (1986,1993), და Keen(1991) პატივს სცემენ და აფასებენ კაცთა უძლურობის შეგრძნებებს და ადასტურებენ, რომ ეს გრძნობები ნამდვილად რეალურია. „მათ თეთრკანიან მამაკაცებს მოჩვენებითი ძალაუფლება მისცეს“, აღნიშნავს ჯონ ლი, ვორქშოპების ერთ-ერთი ლიდერი (ციტირებულია ფერგუსონთან 1992, გვ.28). „ჩვენ ნებას დაგრთავთ მართლთა ქვეყანა, მაგრამ ამასობაში, შეწყვიტეთ გრძნობების განცდა, შეწყვიტეთ ლაპარაკი და განაგრძეთ ტკივილის ყლაპვა.“ (არ ვიცით ვინ იგულისხმება „მათში“).

ხშირად მეთაურები მითო-პოეტური კაცთა მოძრაობისა, რაც მოიცავს ყველა ჯგუფს, რომელიც კაცებს ეხმარება ამ მითიური შინაგანი მამაკაცურობის აღმოჩენაში, თანამედროვე კაცის პოზიციის აღსაწერად მძლოლის სახეს იყენებენ. მძლოლი თითქოს ძალაუფლებას ფლობს, - აცვია ფორმა, ზის მძლოლის სავარძელში და იცის სად მიდის. დამკვირვებლისთვის მძლოლი ძალაუფლების სათავეში მყოფად ჩანს. მძლოლი კი, როგორც თვითონ აღნიშნავს, უბრალოდ ბრძანებებს იღებს. ის საერთოდ არაფერს განკარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცის, ძალაუფლება არ აქვთ, ეს გამოსახულება მაინც მომხიბვლელია იმ კაცებისთვის ვინც ამას ვორქშოპებზე ისმენს. მაგრამ არის ერთი ნაწილი რომელიც ამ სურათს აკლია, ეს ნაწილი გამოსახულების კაცის ინდივიდუალური გამოცდილებით მოხაზვის შედეგად იფარება. ნაწილი, რომელიც სურათს აკლია, არის ის, რომ ადამიანი რომელიც ბრძანებებს გასცემს, ასევე კაცია. ახლა კი გვაქვს კაცთა შორის ურთიერთობა - როგორც ერთი მხარე ბრძანებების გამცემი და მეორე კი, შემსრულებელი. მძლოლი, რომელიც თითქოს ის უნდა იყოს, ვინც მითითებებს იძლევა, არ არის ბრძანებების გამცემი. („ისინი“, როგორც ჩანს, სხვა კაცები არიან).

ძალაუფლება ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ინდივიდუალურ გამოცდილებასთანაა კავშირში არამედ პროდუქტია სხვა კაცებთან ურთიერთობისა. ამ გაგებით, უძლურობის შეგრძნება კაცებისთვის, რეალურია - კაცები მართლაც განიცდიან ამას, მაგრამ ეს არ არის *ჯეშმარიტი*, ზუსტად არ აღწერს მათ მდგომარეობას. ქალების ცხოვრებისგან განსხვავებით, კაცების ცხოვრება სტრუქტურირებულია ძალაუფლების ურთიერთობებისა და ძალაუფლებისადმი კაცთა განსხვავებული ხელმისაწვდომობის გარშემო, ისევე როგორც განსხვავებული ხელმისაწვდომობის გარშემო კაცთა როგორც ჯგუფის

ძალაუფლებისადმი. ჩვენი სიტუაციის ნაკლოვანი ანალიზით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გვჭერა, კაცებს მეტი ძალაუფლება გვჭირდება, იმის მაგივრად, რომ ფემინისტა მცდელობებს დავეჭიროთ მხარი ამ ძალაუფლების ურთიერთობების უფრო თანასწორ ხაზებზე გადასაწყობად.

ფილოსოფოს ჰანა არენდტს (1970) კარგად აქვს გაგებული ინდივიდუალური და სოციალური ძალაუფლების ეს წინააღმდეგობრივი საკითხი:

ძალაუფლება შეესაბამება ადამიანურ შესაძლებლობას არა უბრალოდ იმოქმედო, არამედ იმოქმედო შეთანხმებულად. ძალაუფლება არასდროსაა ინდივიდის საკუთრება; ის ეკუთვნის ჯგუფს და არსებობს მანამ, სანამ ჯგუფი ერთადაა. როცა ვამბობთ, რომ ვინმე „ძალაუფლების მქონეა“, რეალურად ეს არის ადამიანი, რომელიც გაძლიერებულია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სახელით მოქმედებით. როგორც კი ჯგუფი, საიდანაც მისი ძალაუფლება მოდის, ქრება, მისი „ძალაუფლებაც“ იკარგება. (გვ.44)

მაშ, რატომ გრძნობენ ამერიკელი კაცები თავს ასე უძლურებად? პასუხის ნაწილი არის ის, რომ ჩვენ ისეთი წესები ავაგეთ მამაკაცურობისა, რომ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი კაცებისა იჭერებს, რომ აკმაყოფილებენ ამ დაწესებულ მოთხოვნებს. ამერიკელ კაცთა უდიდესი ნაწილისთვის ძალაუფლების მოცილება კი სხვა გზებით მოვახერხეთ - მათი რასის, კლასის, ეთნიკურობის, ასაკის, სექსუალური უპირატესობების ნიადაგზე დისკრიმინაციით.

თავიანთ შიშებსა და სირცხვილთან გამკლავებას ამერიკელი კაცები მათი შინაგანი მასკულიზაციის აღმოჩენის გარდა სხვა გზითაც ცდილობენ. სამწუხაროდ, მაშინ, როცა ისინი მუშაობენ მამაკაცთა ცხოვრებაში იზოლაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, იმაზე, რომ კაცებმა შეძლონ შიშებისა და სირცხვილის გამოხატვა, ისინი იგნორირებულს ტოვებენ იმ სოციალურ ძალაუფლებას, რომლის გამოყენებასაც კაცები კვლავ აგრძელებენ ქალებთან მიმართებაში, იმ პრივილეგიებს (როგორც შუა ხნის, საშუალო კლასის თეთრკანიანი კაცები, რომლებიც მსგავს ვირქშოპებს ხელმძღვანელობენ) რომელთაგანაც ისინი სარგებელს იღებენ - მიუხედავად თავიანთი გამოცდილებებისა, რომელსაც ძალადობრივი სოციალიზაციის პროცესში იღებენ, როგორც მსხვერპლები.

ზოგი კვლავ გამორიცხვის პოლიტიკას მიმართავს. მათი გენდერული იდენტობიდან ყველაფრის გამორიცხვით რაც ნაკლებ მამაკაცურია - ქალები, გეები, არა ადგილობრივი კაცები, სხვა რასის წარმომადგენელი კაცები. საშუალო კლასის, ჰეტეროსექსუალი თეთრკანიანი კაცები ამგვარად თავიანთი იდენტობის გნმტკიცებას ცდილობენ ისე, რომ ის საზარელი შიში და სირცხვილი არ იგრძნონ რომ არაკაცურები არიან და ამას სხვა კაცებიც შეამჩნევენ.

ეს არის მამაკაცურობა რასიზმის, სექსიზმის, ჰომოფობიის. ეს არის მამაკაცურობა, რომელიც იმდენადაა ქრონიკულად დაუცველი, რომ ცახცახებს ჯარში გეების დაშვების იდეის გაგონებაზე, იმდენად არის შეშინებული ქალების ყოფნით სამსახურებში, რომ ქალები სექსუალური ძალადობის სამიზნეები ხდებიან, იმდენად ეშინია თანასწორობისა, რომ ყოველთვის დარწმუნებული უნდა იყოს რომ მამაკაცთა შეჭიბრის მოედანზე ახალი არავინ გამოჩნდეს.

დამცირებებისგან თავის შორს დასაჭერად გამორიცხვა და გაქცევა ძირითადი მეთოდებია ამერიკელი კაცებისთვის. სხვა კაცების მიერ დამცირების, ქალაჩუნად წარმოჩენის შიში ლაიტმოტივია ამერიკული „მამაკაცურობის“ ისტორიის განხილვისთვის. მასკულიზაცია დაუღალავი ტესტი გახდა რომლითაც სხვა კაცებს, ქალებს, და რა თქმა უნდა ჩვენს თავს, ვუმტკიცებთ, რომ წარმატებით დავისწავლეთ. ეს დაუღალავობა ახალი პრაქტიკა არაა ამერიკული ისტორიისთვის. ასევე მღვლეწარედ და მოუსვენრად ვიყავით თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. არც გამორიცხვის მეთოდს და არც გაქცევას შევამდე არ მიუყვანივართ და არც ახლავ საფუძველი იმისა, რომ რომელიმე ჩვენს პრობლემებს გადაწყვეტს. გონების სიმშვიდე, გენდერული ბრძოლისგან დასვენება მხოლოდ მაშინ გვეღირსება როცა ინკლუზიურ პოლიტიკას მივმართავთ და არა ექსკლუზიურს, თანასწორობისა და სამართლიანობისთვის ავიმალღებთ ხმას და არ გავიქცევით.

ინგლისურიდან თარგმნა

ანი გიორგაძემ

ლიტერატურა

- Arent, H. (1970). *On revolution*. New York: Viking
- Bly, R. (1990). *Iron John: A book about men*. Reading, MA: Assison-Wesley
- Farrell, W. (1986). *Why men are the way they are*. New York: McGraw-Hill
- Farrell, W. (1993). *The myth of male power: Why men are the disposable sex*. New York: Simon & Schuster
- Ferguson, A. (1993, January). *America's new men*. *American Spectator*, 25 (1)
- Gaylin, W. (1992). *The male ego*. New York: Viking
- Gorer, G. (1964). *The American people: A study in national character*. New York: Norton
- Kaufman, M. (1993). *Cracking the armour: Power and pain in the lives of men*. Toronto: Viking Canada.
- Keen, S. (1991). *Fire in the belly*. New York: Bantam
- Leverenz, D. (1986, Fall). *Manhood, humiliation and public life: Some stories*. *South-west Review*, 71.
- Marx, K., & Engels, F. (1848/1964). *The communist manifesto*. In R. Tucker (Ed.), *The Marx-Engels reader*. New York: Norton
- Mead, M. (1965). *And keep your powder dry*. New York: William Morrow
- Moore, R., & Gillette, D. (1991). *King, warrior, magician lover*. New York: Harper Collins
- Moore, R., & Gillette, D. (1992). *The king within: Accessing the king in the male psyche*. New York: William Morrow
- Moore, R., & Gillette, D. (1993a). *The warrior within: Accessing the warrior in the male psyche*. New York: William Morrow
- Moore, R., & Gillette, D. (1993b). *The magician within: Accessing the magician in the male psyche*. New York: William Morrow
- Noble, V. (1992). *A helping hand from the guys*. In K.L. Hagan (Ed.), *Women respond to the men's movement*. San Francisco: Harper Collins
- Rotundo, E.A. (1993). *American manhood: Transformations in masculinity from the revolution to the modern era*. New York: Basic Books
- Woolfolk, R.L., & Richardson, F. (1978). *Sanity, stress and survival*. New York: Signet